თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 17

ქ. თელავი 2019 წლის 20 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ მუსაევი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N29 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N29 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 29 დეკემბრის განკარგულების დანართის შესაბამისად დამტკიცდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმაში გაიწერა მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება რომლის განხორციელების ვადები განისაზღვრა 2018-2019-2020 წლებში. აღნიშნული კუთხით 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში ღონისძიებები არ გატარებულა. ვინაიდან, ნარჩენების მართვის კოდექსით სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის შექმნისა და დანერგვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია 600 ლარის ოდენობით, საჭიროა შევიდეს ცვლილება და სამოქმედო გეგმაში მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვროს 2020-2021 წლებისათვის, რათა არ მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის დაჯარიმება.

აგრეთვე სამოქმედო გეგმაში გაწერილია ქაღალდის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება რომლის განხორციელების ვადები განისაზღვრა 2018-2019-2020-2021-2022 წლებში. აღნიშნული კუთხით, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში ღონისძიებები არ გატარებულა. ვინაიდან, ნარჩენების მართვის კოდექსით ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განუხორციელებლობისათვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია 5000 ლარის ოდენობით, საჭიროა შევიდეს ცვლილება და სამოქმედო გეგმაში ქაღალდის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბების ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვროს 2020-2021-2022 წლებისათვის.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N29 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე